

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ
თავი I
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი
თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
შემოსავლები	24559834	28100000	31209653
გადასახადები	12029745	13100000	13545000
გრანტები	12098865	14400000	16973153
სხვა შემოსავლები	431224	600000	691500
ხარჯები	24301244	28384841	31680250
შრომის ანაზღაურება	10561860	11911727	12365340
საქონელი და მომსახურება	4411948	5310950	5273225
სუბსიდიები	5659836	7332685	9324615
გრანტები	28993	5000	5000
სოციალური უზრუნველყოფა	2563719	2556200	2933380
სხვა ხარჯები	1074888	1268279	1778690
საოპერაციო სალდო	258590	-284841	-470597
არაფინანსური აქტივების ცვლილება	606613	310500	530750
ზრდა	651841	310500	530750
კლება	45228	0	0
მთლიანი სალდო	-348023	-595341	-1001347
ფინანსური აქტივების ცვლილება	-348023	-595341	-1001347
ზრდა	0	0	0



ვალუტა და დეპოზიტები	0	0	0
კლება	348023	595341	1001347
ვალუტა და დეპოზიტები	348023	595341	1001347
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0
კლება	0	0	0
ბალანსი	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 1 მაისის კანონი №07 - ვებგვერდი, 10.05.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 26 ნოემბრის კანონი №17-ს - ვებგვერდი, 27.08.2024 წ.

მუხლი 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

დასახელება	2022 წლის	2023 წლის	2024 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
შემოსულობები	24605062	28100000	31209653
შემოსავლები	24559834	28100000	31209653
არაფინანსური აქტივების კლება	45228	0	0
გადასახდელები	24953085	28695341	32211000
ხარჯები	24301244	28384841	31680250
არაფინანსური აქტივების ზრდა	651841	310500	530750
ვალდებულებების კლება	0	0	0
ნაშთის ცვლილება	-348023	-595341	- 1001347

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 1 მაისის კანონი №07 - ვებგვერდი, 10.05.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 26 ნოემბრის კანონი №17-ს - ვებგვერდი, 27.08.2024 წ.

თავი II

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები **31209653** ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

დასახელება	2022 წლის	2023 წლის	2024 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა



შემოსავლები	24559834	28100000	31209653
გადასახადები	12029745	13100000	13545000
გრანტები	12098865	14400000	16973153
სხვა შემოსავლები	431224	600000	691500

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 26 ნოემბრის კანონი №17-ს - ვებგვერდი, 27.08.2024 წ.

მუხლი 4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები **13545000** ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

დასახელება	2022 წლის	2023 წლის	2024 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
გადასახადები	12029745	13100000	13545000
საშემოსავლო გადასახადი	12029745	13100000	13545000
ქონების გადასახადი	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 26 ნოემბრის კანონი №17-ს - ვებგვერდი, 27.08.2024 წ.

მუხლი 5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტები
ფინანსური დახმარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს 16973153 ლარი.

თანხა ლარებში

დასახელება	2022 წლის	2023 წლის	2024 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
გრანტები	12098865	14400000	16973153
უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები	63772	0	0
მიმდინარე დანიშნულების გრანტები	0	0	0
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	12035093	14400000	16973153
მიმდინარე დანიშნულების გრანტები	12035093	14400000	16973153
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.

მუხლი 6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **691500** ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

დასახელება	2022 წლის	2023 წლის	2024 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
სხვა შემოსავალი	431224	600000	691500
შემოსავლები საკუთრებიდან მ.შ.	420973	600000	691500
პროცენტები	317197	600000	691500
დივიდენდები	103776	0	0
აქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	7966	0	0
ანაწილები (ჯარიმები და საურავები)	0	0	0
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	2285	0	0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 26 ნოემბრის კანონი №17-ს - ვებგვერდი, 27.08.2024 წ.

თავი III

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური
აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები 31680250
ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

დასახელება	2022 წლის	2023 წლის	2024 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
ხარჯები	24301244	28384841	31680250
შრომის ანაზღაურება	10561860	11911727	12365340
საქონელი და მომსახურება	4411948	5310950	5273225
სუბსიდიები	5659836	7332685	9324615
გრანტები	28993	5000	5000
სოციალური უზრუნველყოფა	2563719	2556200	2933380
სხვა ხარჯები	1074888	1268279	1778690

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 1 მაისის კანონი №07 - ვებგვერდი, 10.05.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 26 ნოემბრის კანონი №17-ს - ვებგვერდი, 27.08.2024 წ.

მუხლი 8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური



აქტივების ცვლილება
ა) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **530750** ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
01 00	უმადღესი საბჭო	158983	34000	23000
02 00	მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	66697	90000	289700
05 00	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	12762	12000	8000
06 00	განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	246083	19700	32000
08 00	ზემო აფხაზეთში - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა	0	2500	2500
11 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო	97100	119000	111000
18 00	აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	51303	26800	47150
19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი	18913	6500	17400
	სულ	651841	310500	530750

ბ) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივები	45228	0	0
ძირითადი აქტივები	45228	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 1 მაისის კანონი №07 - ვებგვერდი, 10.05.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 26 ნოემბრის კანონი №17-ს - ვებგვერდი, 27.08.2024 წ.

მუხლი 9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

ფუნქცი- ონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
----------------------------	------------	--------------------	--------------------	--------------------



701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	15827160	18365988	20338750
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	15827160	18315588	20337550
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	15827160	18130588	20120550
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	185000	217000
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	50400	1200
704	ეკონომიკური საქმიანობა	1669342	1689954	1852280
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	490096	457600	530600
70421	სოფლის მეურნეობის სექტორის მართვასთან, ვეტერინარული, მცენარეთა დაავადებათა საწინააღმდეგო და სხვა მომსახურება	490096	457600	530600
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1179246	1232354	1321680
707	ჯანმრთელობის დაცვა	1851628	1930460	2085000
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობა და აპარატები	0	0	0
7072	ამბულატორიული მომსახურება	500479	1040000	1155000
7073	საავადმყოფოების მომსახურება	168942	0	0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	0	0	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1182207	890460	930000
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3775318	4577381	5435650
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	378990	307200	340700
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2720456	3379008	3772550
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	425714	614205	1024700
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურება	250158	276968	297700
7086	სხვა სახის არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0	0	0
709	განათლება	733912	864858	847640
7093	პროფესიული განათლება	0	0	0



7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	733912	864858	847640
710	სოციალური დაცვა	1095725	1266700	1651680
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0	0	0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0	0	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	1095725	1266700	1651680
	სულ:	24953085	28695341	32211000

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 1 მაისის კანონი №07 - ვებგვერდი, 10.05.2024 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 26 ნოემბრის კანონი №17-ს - ვებგვერდი, 27.08.2024 წ.

თავი IV

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო (პროფიციტი/დეფიციტი)

თანხა ლარებში

დასახელება	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
საოპერაციო სალდო	258590	-284841	-470597
მთლიანი სალდო	-348023	-595341	-1001347

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 1 მაისის კანონი №07 - ვებგვერდი, 10.05.2024 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 26 ნოემბრის კანონი №17-ს - ვებგვერდი, 27.08.2024 წ.

მუხლი 11. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივები განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-1001347) ლარის ოდენობით.

ა) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ლარის ოდენობით;

ბ) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1001347 ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

ფინანსური აქტივების ცვლილება	2022 წლის	2023 წლის	2024 წლის
	ფაქტი	გეგმა	გეგმა
ზრდა	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	0	0	0
კლება	348023	595341	1001347



ვალუტა და დეპოზიტები	348023	595341	1001347
----------------------	--------	--------	---------

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 1 მაისის კანონი №07 - ვებგვერდი, 10.05.2024 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.

მუხლი 12. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

ვალდებულებების ცვლილება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0	0	0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0	0	0

2024 წლის პირველი იანვრისათვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ვალი არ გააჩნია.

თავი V

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და მესამის შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა
- მოსახლეობის სოციალური დაცვა
- განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია
- აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობის/ კავშირების აღდგენა
- საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- მოსახლეობის დასაქმების და ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა
- დევნილთა განსახლების ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
- წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება
- ფინანსური და არაფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა
- აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ხელშეწყობა

1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლითაც დაცულია ადამიანების უფლება ამ სფეროში. მიუხედავად ამისა, დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, პროგნოზულად ჯანმრთელობის შემდგომი გაუარესების მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნება, ეს გარემოება განსაზღვრავს გაცილებით მეტ მოთხოვნას სამედიცინო დახმარებაზე. დევნილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მოკლებულია საშუალებას მიიღოს დროული და სრულფასოვანი სამედიცინო დახმარება. უსახსრობის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ დიდი დაგვიანებით,



დაავადებების გართულებული ფორმებით, რომელთა მკურნალობა სამომავლოდ უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად, იზრდება ფინანსური რისკები, დაავადების გართულებების ალბათობა, მცირდება მკურნალობის ეფექტიანობის მაჩვენებელი, იზრდება შეზღუდული შესაძლებლობები, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ლეტალურ შედეგს.

1.1. მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარება

დიაგნოზის ვერიფიცირების (მათ შორის ონკოლოგიური დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკის თვალსაზრისით) და შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს (ბირთვულ მაგნიტურ – რეზონანსული ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ენდოსკოპიური გამოკვლევები და ა.შ.), ასევე სხვადასხვა ძვირადღირებული კლინიკა –ლაბორატორიულ და ბიოქიმიურ გამოკვლევებს, რომელთაც მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ აფინანსებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამბულატორიული დახმარების პროგრამის მიზანია დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ამბულატორიულ-დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

1.2. მოქალაქეთა ჰოსპიტალური დახმარება

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით, ასევე ხორციელდება გეგმიური კორონარული ანგიოგრაფია.

1.3. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერა

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ითვალისწინებს სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისას პაციენტთა/ბენეფიციართა მხრიდან თანაგადახდას. წლების პრაქტიკა აჩვენებს, რომ თანაგადახდის თანხების მოძიება ავადმყოფების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს ან პრაქტიკულად შეუძლებელია, ამის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ დაგვიანებით, რის შედეგად იზრდება ავადობის მაჩვენებლები, დაავადების გართულებების ალბათობა, მცირდება მკურნალობის ეფექტიანობა, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. აღნიშნული მოიცავს: ჰოსპიტალური მომსახურების, ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობისა და სტაციონარულ პირობებში დიაგნოსტიკის თანადაფინანსების ხელშეწყობას, ონკოპაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხელშეწყობას, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალპროფილური სკრინინგულ კვლევას და სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეძენას.

1.4. ექიმების გადამზადება

უწყვეტი სამედიცინო განათლება უწყვეტი პროფესიული განვითარების ძირითადი კომპონენტია, რომელიც მოიცავს როგორც თვითგანათლებას, ისე ფორმალიზებული სწავლების/მზადების პროგრამებში მონაწილეობას. აგრეთვე, სხვადასხვა საქმიანობებს, რომლებიც სამედიცინო პერსონალის პროფესიული ცოდნის და უნარ-ჩვევების განმტკიცებასა და გაუმჯობესებას უწყობს ხელს. აფხაზეთიდან იგპ-თა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე სპეციალისტთა გადამზადების პროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსახლეობისათვის ხარისხიანი, კვალიფიციური სამედიცინო სერვისის მიწოდებას.

1.5. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მხარდაჭერა

პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტოს მეშვეობით ფინანსდება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მედიკამენტებით მხარდაჭერის ქვეპროგრამა, „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საკონსულტაციო –



1.6. სარიტუალო მომსახურების ანაზღაურება

სარიტუალო მომსახურების პროგრამა ითვალისწინებს ძირითადი ლოკაციებიდან (თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, ბათუმის სამედიცინო დაწესებულებები) გარდაცვლილის ტრანსპორტირებას ენგურის ხიდამდე (რუხი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) საშუალო ღირებულების ჩასასვენებლით და სხვა თანმხლები მომსახურების გათვალისწინებით.

2. მოსახლეობის სოციალური დაცვა

ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა, ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ბენეფიციართა სოციალური მდგომარეობა არის მძიმე, რისთვისაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო უზრუნველყოფს მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას სხვადასხვა პროგრამებით.

2.1. სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით დადგენილ ბენეფიციართათვის ფულადი დახმარების გაცემას.

2.2. ბენეფიციართა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით დადგენილი ბენეფიციართა საცხოვრებლით უზრუნველყოფაში მხარდაჭერას, ქირის თანხის ანაზღაურების გზით.

2.3. აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით დადგენილი ბენეფიციართა ფულად დახმარებას.

2.4. აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანება/აბონირება

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით დადგენილი ბენეფიციართა ოჯახებისათვის საცხოვრებელ ფართებზე გამრიცხველიანება/აბონირებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებას.

2.5. სოციალური სოლიდარობა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით სადღესასწაულო დღეებში/საჭიროების შემთხვევაში საჩუქრების/დახმარების (მათ შორის ჰუმანიტარული დახმარების) გადაცემას ბენეფიციართათვის.

2.6. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისას ზემო აფხაზეთიდან იგპ-თა სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს ზემო აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურად დაუცველი ოჯახების ოთხ წლამდე ბავშვებისთვის კვების პროდუქტებით და ჰიგიენის საგნებით ერთჯერადი დახმარების ვაუჩერის წესით დაფინანსებას; პენსიონერ და/ან უმუშევარ პედაგოგებისთვის ერთჯერად ფულად



დახმარებას. დახმარების გაცემის წესი, ოდენობა, ბენეფიციართა კატეგორიები და შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტით.

2.7. გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება

პროგრამის ფარგლებში სამინისტრო სამიზნე ჯგუფს უზრუნველყოფს ფინანსური დახმარებით. ბენეფიციართა სია განისაზღვრება სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სამინისტრო ახდენს ბენეფიციარების პროგრამით განსაზღვრული სახსრებით უზრუნველყოფას ქართულ საბანკო სივრცეში.

3. განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სფეროში შემავალი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი; აფხაზეთიდან დევნილი ყველა პირისთვის ზოგადი და უმაღლესი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო და აღმზრდელობით სფეროში დასაქმებულთა განვითარება;

კულტურული ცხოვრების განვითარება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კულტურული აქტივობებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების და ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას“. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ აკისრებს სახელმწიფოს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას.

სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია ხელი შეუწყოს ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარებას, კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ფოლკლორის დაცვა-შენარჩუნებას, აფხაზეთის შემოქმედებითი რესურსისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის დაცვას, მის განვითარებაზე ზრუნვას, მიღწეულის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას.

მნიშვნელოვანია ხელოვნების სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა; აფხაზეთის ხელოვნების, როგორც ერთიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილის წარმოჩენა; კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა; ხელოვნების სფეროში პრემიების დაწესება.

3.1. განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მიზნად ისახავს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში ხელშეწყობას.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებაზე მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

გამოავლინოს განათლების, კულტურის და სპორტის სფეროებში პრობლემები და ნაკლოვანებები. პრობლემის აღმოსაფხვრელად დასახოს პრიორიტეტები და განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და პოპულარიზაციას.



საინფორმაციო ბაზის შექმნა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ – საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების მატერიალურ – ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ;

ხელშეწყობა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებისა და პროგრამების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტისა და პროგრამის პილოტირებას, დანერგვას და მონიტორინგს;

3.2. სკოლების ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება

ზოგადი განათლების სისტემის რეფორმა ითვალისწინებს საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესს, რაც სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ინფრასტრუქტურულად გამართული გარემოს შექმნას გულისხმობს. ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განთავსებული 13 საჯარო სკოლა, რომლებიც საჭიროებენ ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას.

სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში მოქმედი 30 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა.

3.3. წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა

განხორციელდება აფხაზეთიდან დევნილი ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების (ბაკალავრები, მაგისტრანტები), სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტების დაფინანსება. გაიცემა სტიპენდიები სხვადასხვა მიმართულებით. განხორციელდება სხვადასხვა სახის შეხვედრები, მათ შორის, მოეწევა საზაფხულო ბანაკი.

3.4. ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების ხელშეწყობა

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში ონლაინ საკვირაო სკოლის ფუნქციონირება. აღნიშნულის მიზანია აფხაზეთის საჯარო და გალის რაიონში მდებარე საშუალო სკოლების მოსწავლეთა ზოგადი განათლების ამაღლება, ინტეგრაციის ხელშეწყობა.

3.5. მეცნიერთა მხარდაჭერა

პროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერების მხარდაჭერა და მათი სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა.

3.6. კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა

კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის და სპორტის პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და კავშირებთან კონტაქტის დამყარება; ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების, პუბლიცისტიკის დარგების განვითარება და სტიმულირების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა სახელობითი პრემიების (გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია, ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემია) დაწესება და ამ პრემიების ლაურეატების გამოვლენა. ასევე, ფინანსდება ლიტერატურულ – საზოგადოებრივი ჟურნალი „რიწა“, საყმაწვილო ჟურნალი „იალქანი“, ხდება ისტორიულ – კულტურული მნიშვნელობის წიგნების, პლენერების და გამოფენების ორგანიზება, დევნილი ბავშვების მუსიკალური, ქორეოგრაფიული განათლების ხელშეწყობა, საჭირო პირობების შექმნა, სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა, აფხაზეთისა და ქვეყნის ძირითადი და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისათვის პოტენციური რეზერვების გამოვლენა. ასევე, ხორციელდება „აფხაზეთის კულტურულ – შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა“, სხვა კულტურულ შემოქმედებითი ღონისძიებები.

პროგრამა გულისხმობს სხვადასხვა სახის ღონისძიების ორგანიზებას და ჩატარებას, როგორცაა: საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა, საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები, ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობა,



ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობა, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, „მე, აფხაზეთისთვის“, „საახალწლო ზეიმი“, სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა, აფხაზეთის სპორტული ტურნირები, წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა-დაჯილდოება, „ევროპული არდადეგების“ ჩატარება და სხვა.

3.7. კულტურულ ფასეულობათა დაცვა და პოპულარიზაცია

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს. აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობა კარგავს თავის ავთენტურობას და უნიკალურობას. მნიშვნელოვანია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა, შენარჩუნება და გადაცემა მომავალი თაობებისათვის.

აღნიშნული მიმართულებით ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, როგორიცაა: „სალექციო კვირეული „აღმოაჩინე აფხაზეთი“, ფოტოგამოფენა „კადრები აფხაზეთიდან“, „მოგზაურობა აფხაზეთში“ და ა.შ.

3.8. თეატრალური, სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

თეატრის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარება, საზოგადოებისათვის აქტუალური თემების წარმოჩენა სცენაზე, მაყურებლის სულიერი განვითარებისათვის ზრუნვა, იძულებით გადაადგილებულ პირთა კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნებისა და სულიერი გამხსნელებისათვის ზრუნვა. ამ მიზნით ხორციელდება სხვადასხვა თეატრების დაფინანსება, მათ შორის სსიპ ქ.სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი და სსიპ – სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აფხაზეთის სიმღერის, ცეკვის და მუსიკალური ხელოვნების განვითარება. ქართული, აფხაზური და მსოფლიო საგუნდო და აკადემიური მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ; თანამედროვე ქართული და მუსიკალური შემოქმედების სტიმულირება. ამ მიზნით ხორციელდება აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთი“-ს, „გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა“-ს და აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „შავნაბადა“-ს დაფინანსება.

3.9. აფხაზეთის კულტურულ – შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა მიზნად ისახავს აფხაზური კულტურის პოპულარიზაციას, ასევე შემოქმედებითი მიმართულებების და ხელოვნების დარგების ხელშეწყობას: საშემსრულებლო, ვიზუალური, შემოქმედებითი მიმართულებების გაძლიერებას; ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობას; ფესტივალებისა და კონკურსების (ადგილობრივი და საერთაშორისო), ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების, შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოების, საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას, გამოფენების მოწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები, ასევე გათვალისწინებულია ხელოვნების სხვადასხვა სფეროს – ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის.

3.10. სპორტულ ღონისძიებათა ხელშეწყობა

სპორტის სფეროში სააგენტოს პრიორიტეტებს წარმოადგენს აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეების განვითარების ხელშეწყობა. სააგენტო წარმართავს არსებული სპორტული ჯგუფებისა და გუნდების სასწავლო – საწვრთნელ მუშაობას (თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფარიკაობა, კალათბურთი, მინი – ფეხბურთი, ბერძნულ – რომაული ჭიდაობა, ძალოსნობა, ძიუდო და. ა.შ.), აღზრდა – მომზადებას.

სამოქმედო გეგმის მიზანია სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და განვითარება. აფხაზეთიდან დევნილი მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა, გაჯანსაღება, მათი მასიური ჩაბმა სპორტულ სახეებში. მაღალი რანგის



სპორტსმენების მომზადება სპორტის სხვადასხვა სახეებში, შემდგომში მათი დელეგირება აფხაზეთისა და საქართველოს ნაკრებში. სააგენტოს ამოცანაა აფხაზეთის, საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის და ოლიმპიური კანდიდატების მომზადება.

პროგრამის მიზანია სპორტული ღონისძიებების, ტურნირების ჩატარება/ხელშეწყობა. ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მისაღებად ხელშეწყობა.

ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენების და ღვაწლმოსილი, ვეტერანი სპორტსმენების გამოვლენა-დაჯილდოება.

3.11. ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით პროგრამა ინტეგრირებულია როგორც საგანმანათლებლო, ასევე შემეცნებითი კომპონენტებით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება „ევროპული არდადეგები“ და სხვა.

4. აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობის/კავშირების აღდგენა

კონფლიქტების მოგვარებისა და მდგრადი მშვიდობის დამყარების საფუძველი კონფლიქტის მხარეებს შორის შერიგებაა. ამისთვის კი საჭიროა დიალოგი, რომელიც ურთიერთდობის აღდგენისა და შერიგებისთვის აუცილებელ ნიადაგს ქმნის. ამ მიზნის რეალიზებისათვის და სამშვიდობო პოტენციალის სრულად ამოქმედებისათვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების რესურსის ამუშავება. სამოქალაქო საზოგადოებას დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს დაგროვებული კონფლიქტის შესახებ, აქვს ურთიერთობა მეორე მხარესთან, მაგრამ ამ ყველაფრის გამოყენება სრულად არ ხდება.

პრიორიტეტი ითვალისწინებს შერიგებაზე და ქართულ – აფხაზური საზოგადოების გაერთიანებაზე ორიენტირებული სხვადასხვა მიმართულების (ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურული, კვლევითი, სამართლებრივი დახმარების და სხვა) პროექტების დაფინანსებას/თანადაფინანსებას.

პროგრამის რეალიზება ხელს შეუწყობს ხალხთაშორისი კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერებას, პრაგმატული მნიშვნელობის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავებას სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობით, რაც მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

პროგრამის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ინტეგრაციის მხარდაჭერა და აღნიშნული სამშვიდობო რესურსის გამოყენება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დასარეგულირებლად, ასევე, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ანტაგონიზმის, მტრის ხატის მოხსნა, მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთქმედების, თანამშრომლობის პრაქტიკის დამკვიდრება.

4.1. სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება

პროგრამის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ და იძულებით გადაადგილებულ პირებში სულიერების დონის ამაღლება, ტოლერანტული ფასეულობების განვითარება და პატრიოტული სულის გაღვივება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, აღჭურვა, რემონტი და სხვა ღონისძიებები. საკვირაო სკოლის, ილორის ტაძრის, კათარზისისა და სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის მეშვეობით ხორციელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიის დეოკუპაციისა და დევნილთა საკუთარ სახლებში ღირსეული დაბრუნების პროცესში ჩართულობა და ხელშეწყობა; აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროცესების საინფორმაციო უზრუნველყოფა; აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებით ინფორმაციის სისტემატიზაცია, არსებული და შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირება, საინფორმაციო-



ანალიტიკური მასალის მომზადება და მთავრობისთვის წარდგენა. ახალი ამბების, რუბრიკების, დოკუმენტური მასალებისა და მიუკერძოებელი ანალიტიკური ინფორმაციების მომზადება აფხაზეთის თემატიკასთან დაკავშირებულ მოვლენებზე.

4.2. კომუნიკაციისა და ინფორმირების გაძლიერება

პრიორიტეტის მიზანია იგპ-თა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისათვის გარკვეული ეკონომიკური სერვისების მიწოდება, მათ შორის ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა, რომელიც მოემსახურება აფხაზეთიდან იგპ-თა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოსახლეობას.

4.3. სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება

პროგრამები შემუშავებულ იქნა ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და აფხაზეთიდან დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი რიგი გამოწვევების გათვალისწინებით. შესაბამისად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სამშვიდობო ინიციატივების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას და განვითარებას ერთიანი, სტაბილური და სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების მიზნით.

აღნიშნული პროგრამა დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის სახალხო დიპლომატიის, სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში თანამშრომლობას წახალისებს.

ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის კონსტრუქციული კომუნიკაციის გაძლიერებას და ნდობის აღდგენის ხელშეწყობას. პროგრამის მიზანია ქართული და აფხაზური საზოგადოების, აკადემიური პერსონალის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების როლის გააქტიურება შერიგების, ნდობის მშენებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებში.

პროგრამა, ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: სამშვიდობო რესურსი, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა, მშვიდობის ლაბორატორია, სამოქალაქო ჩართულობა და ევროპული მომავალი, საერთაშორისო რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის, სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერა და სხვა.

5. საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა.

5.1. საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება

საარქივო მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, სტანდარტების შესაბამისი დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა, არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მომსახურება. ისტორიულად ღირებული საარქივო დოკუმენტების გამოფენის მოწყობა. ურთიერთთანამშრომლობა საზღვარგარეთის არქივებთან და საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების შემოტანა. ისტორიის ამსახველი მასალების გამოვლენა ჟურნალისა და ბუკლეტების გამოსაცემად. სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის შევსება დოკუმენტებით მატერიალური სახით, საარქივო ფონდის დოკუმენტების ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება; აფხაზეთის საარქივო ფონდის დოკუმენტების, განურჩევლად მათი შენახვის ადგილისა (მათ შორის აფხაზეთის საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების), აღრიცხვის, დაცვისა და შენახვის, აგრეთვე საქმისწარმოებაში არსებული წესების დაცვის კონტროლი და ზედამხედველობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებათა არქივებისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის სრულყოფა, კოორდინაცია, ნორმატიული და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა; აფხაზეთის საარქივო საქმის განვითარების საკითხებზე პერსპექტიულ-მიზნობრივი პროგრამებისა და მიმდინარე გეგმების შემუშავება.

აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებით ინფორმაციის სისტემატიზაცია, არსებული და შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირება, საინფორმაციო – ანალიტიკური მასალის მომზადება და მთავრობისათვის წარდგენა.

6. მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა

პრიორიტეტის მიზანია დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების მხარდაჭერა, მათი პროფესიულ-ტექნიკური უნარ-ჩვევების გაძლიერება და სათანადო აღჭურვილობით უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია დევნილთა ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა, მათთვის შესაბამისი ეკონომიკური სერვისების მიწოდება, საკონკურსო საფუძველზე დევნილთა ბიზნეს-პროექტებისა და საქმიანი, სამეწარმეო წინადადებების უზრუნველყოფა. ასევე, აქტუალურია ადგილობრივ, სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში დევნილთა ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის, თანადაფინანსების გზით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ისეთი პროექტებისა და სამომსახურეო წინადადებების დამუშავება და თანადაფინანსება, რომელთა განხორციელება წახალისებს დევნილთა ეკონომიკურ აქტივობას.

7. დევნილთა განსახლების ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

დევნილების მნიშვნელოვანი რაოდენობა განთავსებულია განსახლების ობიექტებზე, რომელთა უმეტესობა საჭიროებს ინფრასტრუქტურულ მოწესრიგებას. ამ მიზნით ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები და ქვეპროგრამები, როგორიცაა: დევნილთა საცხოვრებლებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფა, დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა, დევნილთა საცხოვრებლების მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება/მოპირკეთება, დევნილთა განსახლების ობიექტებში წყალკანალიზაციის სისტემების მოწესრიგება, აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარება, ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობა, დევნილთა განსახლების ობიექტებში საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობა, დევნილთა მომსახურების მიზნით ცენტრების მოწყობა.

8. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება

კანონშემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურება. აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახელისუფლებო სტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას, მომავალი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და კონსტიტუციური საფუძვლების შემუშავებას. მჭიდრო საქმიანი კავშირების დამყარება ქვეყნის საკანონმდებლო და ცენტრალურ აღმასრულებელ სტრუქტურებთან. აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ მსოფლიო საზოგადოებისათვის სწორი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღრიცხვა, ამ უფლებების დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე. აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება. აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების და აფხაზეთიდან დევნილთა პრობლემების გადაწყვეტაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ჩართულობის ხარისხის ამაღლება. შერიგებისა და ნდობის აღდგენისაკენ მიმართული



ლონისძიებების გატარებაში აქტიური მონაწილეობა. რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ანექსიის მამხილებელი მასალების მოძიება და პოლიტიკური შეფასება; ობიექტური სინამდვილის გასაჯაროება, სისტემური კონტაქტების უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მეგობარი სახელმწიფოების პოლიტიკური და აკადემიური წრეებისთვის; სამოქალაქო სექტორში მხარდამჭერთა მოძიება, მათი დახმარებით სეპარატისტული რეჟიმის არაღიარების პოლიტიკის გააქტიურება. დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში აქტიური ჩართულობა.

8.1. საკანონმდებლო საქმიანობა

საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება, კონტროლი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე.

9. ფინანსური და არაფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მოქნილ მართვას, სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ და ეფექტიანად ხარჯვაზე მონიტორინგს. დევნილი მოსახლეობისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა, მისი სრულყოფილად აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვა.

9.1. ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო -საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება და სრულყოფა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფა.

დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით კომპეტენციის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და წარმართვა.

9.1.1. საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სრულყოფა

ბიუჯეტის ფორმატის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ნორმების დანერგვას და დაცვას.

ბუღალტრული აღრიცხვის ახალ საერთაშორისო სტანდარტებზე (IPSAS) დაფუძნებულ შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შექმნა და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვა.

9.1.2. ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა

აქტივების მართვის სისტემის დანერგვა, აქტივების მართვის სისტემაში აღრიცხვა და ეფექტური მართვის განხორციელება.

9.1.3. საწარმოთა მართვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოების მართვის ხელშეწყობა.

9.2. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო უძრავი ქონების აღრიცხვა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაცია.



აფხაზეთში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების ნუსხის ელექტრონული ვერსიის შექმნა.

10. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

ინსტიტუციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს გამართული ფუნქციონირება.

10.1. მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება; მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა; მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება. „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ – დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება. აფხაზეთის პრობლემატიკის სათანადო წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 1 მაისის კანონი №07 - ვებგვერდი, 10.05.2024 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 14 აგვისტოს კანონი №11-რს - ვებგვერდი, 16.08.2024 წ.

მუხლი 14. ახალი ინიციატივები

პროგრამული კოდი	პროგრამის/ ქვეპროგრამის დასახელება	თანხა
